საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის

(უნიკალური კოდი 882)

ოქმი № 01

ქ. თბილისი „30-“ „ივლისი“ 2013 წ.

**საკონკურსო კომისიის წევრები:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ს. ლონდარიძე (არ ესწრებოდა)

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის წევრი : ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრები:

თ. იაშვილი გ. ასკურავა ი. ჭანტურიძე გ. ხაზარაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ნ. განჯელაშვილი

დღის წესრიგი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების საკონკურსო განცხადების განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ი. ჭანტურიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო განცხადება და პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის $10^2$ მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის” მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე (არ ესწრებოდა)

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ნ. განჯელაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის (უ.კ #882)
ოქმი № 02

ქ. თბილისი „8“ „აგვისტო“ 2013 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

თ. იაშვილი გ. ასკურავა ი. ჭანტურიძე ი. ჩიბიროვი გ. ხაზარაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ე. ხარაიშვილი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსში (უ.კ. 882) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ი. ჭანტურიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსზე 2013 წლის 7 აგვისტოს 15:00 საათამდე წინადადება არ წარმოადგინა არც ერთმა პრეტენდენტმა. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

დაადგინეს:

1. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.
2. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტით.
3. ხელახლა გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონალური არქივის( ახალციხე, მანველიშვილის ქ.№5) არსებული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისა და ახალი საარქივე საცავის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე (არ ესწრებოდა)

სხდომას თავმჯდომარეობდა საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ე. ხარაიშვილი